ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ნ. გ. ადვოკატ ჟ. ლ.-ის წინააღმდეგ

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

კახაბერ წერეთელი – თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე – წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 29.11.2010 წელი

საჩივრის რეგისტრაციის №092/10.

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2010 წლის 11 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოქალაქე ნ. გ.-მ ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიმართ.

1.2 საჩივარში ნ. გ. აღნიშნავს, რომ 2002 წელს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით გაუფორმა რწმუნებულება ჟ. ლ.-ს, რომელსაც უნდა განეხორციელებინა სასამართლოში წარმომადგენლობა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით 2002 წლის 24 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ნ. გ.-ის სარჩელი და მოპასუხე მხარეს დაეკისრა 2600 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში, სესხის თანხის გადახდა ნ. გ.-ისათვის და 100 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში ადვოკატის მომსახურების თანხის გადახდა.

1.4 საჩივრის თანახმად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს დავალებით შეფასებული იქნა მოპასუხე მხარის საკუთრებაში არსებული ქონება, გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რის საფუძველზეც სააღსრულებო ბიურომ ჩაატარა აუქციონი და გასაყიდად გამოიტანა მოპასუხის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა მდებარე ბათუმში, ჯ.-ის ქ. #X. ბინა #X.

1.5 საჩივრის თანახმად, რამდენიმე აუქციონის ჩატარების შემდეგ, რადგან ბინა არ გაიყიდა 2005 წლის 27 მაისს აღმასრულებელმა მიიღო განკარგულება აღნიშნული ქონების ნ. გ.-ის საკუთრებაში ნატურით გადაცემის თაობაზე.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის პერიოდში საქართველოში არ იმყოფებოდა, ამიტომ საქმეს მისი წარმომადგენელი ჟ. ლ. აწარმოებდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით 2006 წლის სექტემბერში დაბრუნდა საქართველოში და მისი წარმომადგენლის ჟ. ლ.-ის თანხლებით საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა მისი საკუთრება.

1.8 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა აღნიშნული ბინიდან გ. მ.-ის გამოსახლების თაობაზე და სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

1.9 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 4 ნოემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ნ.-მ მის წინააღმდეგ. ნ. გ. განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ქ. ბათუმში ჯ.-ის ქ. #X. ბინა #X-ში გაწეული რემონტის ხარჯების ანაზღაურება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმეში ნ. ნ.-ის ადვოკატს წარმოადგენდა ჟ. ლ.. საჩივრის ავტორის განცხადებით აღნიშნულ საქმეში ნ. ნ.-ის ნაცვლად ჩაერთო თ. მ..

1.10 საჩივრის ავტორი უთითებს: "ჟ. ლ.-ის მიერ საკუთარი მარწმუნებლის წინააღმდეგ გამოსვლა იგივე მოწინააღმდეგე მხარეების ადვოკატად და იმავე საქმეზე, რასაც ადრე ჩემს სასარგებლოდ აწარმოებდა, აღნიშნული ფაქტი გახლავთ "ადვოკატთა შესახებ" კანონის უხეში დარღვევა. გარდა ამისა, ეს კიდევ ერთი ნათელი დასტურია ჩემს წინააღმდეგ ამ საქმეში მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად ადვოკატ ჟ. ლ.-ის თანამონაწილეობა, რომლებმაც ერთად შექმნეს ყალბი საბუთი, ჩამოაყალიბეს ყალბი გარემოებები და მომაყენეს უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანი".

1.11 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეების ნ. ნ.-ის და თ. მ.-ის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო აღნიშნული თაღლითური (ყალბი)

ხელშეკრულების გამო ამ საქმეში ერთ-ერთი მხარე გ. მ. და მისი მეუღლე დარეჯან სტურუა სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

1.12 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ნ.-ის, თ. მ.-ის და ადვოკატის ჟ. ლ.-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს და მას დააკისრეს 39982 ლარის, 1620 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ლარებში და სახელმწიფო ბაჟის 1219 ლარის გადახდა.

1.13 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ყოფილი ადვოკატი ჟ. ლ., ასევე დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ – მის საკუთრებაში არსებული ბინის ყოფილი მესაკუთრის გ. მ.-ის ადვოკატს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გ. მ. და ჟ. ლ. დღეისათვის დავას აწარმოებენ მის წინააღმდეგ, ზემოთ აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, რაც მან გ. მ.-ისაგან მიიღო.

1.14 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მათი მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ისინი დავას აგრძელებენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საჩივრის ავტორი უთითებს: "ჟ. ლ. გახლავთ იმავე საქმეზე, იმავე მხარეების წარმომადგენელი, რომლების წინააღმდეგაც ადრე ჩემს სასარგებლოდ გამოდიოდა. აღნიშნული პიროვნების მიერ დაირღვა კანონის, ეთიკის და ზნეობის ნორმები."

1.15 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ჟ. ლ. დღესაც იყენებს მისი წარმომადგენლობის პერიოდში მოპოვებულ ყველა მომენტს და იურიდიულ დახმარებას უწევს გ. მ.-ს იგივე საქმეზე.

1.16 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

1.17 2011 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ნ. გ. და წერილობით, დამატებითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა.

1.18 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ნ. გ.-მ მხარი დაუჭირა საჩივარში აღნიშნულ მოთხოვნას და მოყვანილ გარემოებებს. ნ. გ.-ის ახსნა-განმარტების თანახმად, 2002 წლის აგვისტოს თვეში საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა ჟ. ლ.-ს სამოქალაქო საქმეზე გ. მ.-ის წინააღმდეგ. ადვოკატს უნდა წარედგინა სარჩელი სასამართლოში ვალის დაბრუნების თაობაზე.

1.19 2005 წლის 27 მაისს, ნ. გ.-ს აჭარის სააღსრულებლო ბიუროს განკარგულებით ნატურით გადაეცა გ. მ.-ის საცხოვრებელი ბინა. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააღსრულებო ფურცელი ჟ. ლ.-მ მისი თანდასწრებით, 2006 წლის სექტემბრის თვეში ჩააბარა რეესტრში.

1.20 ნ. გ.-ის განცხადებით მის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში წარადგინა მოქალაქე თ. მ.-მ. თ. მ. პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ ნ. გ.-მ უკანონოდ გადაიფორმა საცხოვრებელი სახლი. ნ. გ. აღნიშნავს, რომ ადვოკატი ჟ. ლ., თ. მ.-ის ინტერესების დამცველს წარმოადგენდა იმავე ბინაზე ნ. გ.-ის წინააღმდეგ.

1.21 ნ. გ.-ის ახსნა-განმარტებით, გ. მ.-მ წარადგინა სასამართლოში სარჩელი, ქ. ბათუმში ჯ.-ის ქ. #X. ბინა #X-ში მდებარე ბინაშე გაწეული რემონტის ხარჯების – 10000 დოლარის ანაზღაურების თაობაზე. ამ დროს გ. მ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ჟ. ლ. ნ. გ.-ის წინააღმდეგ.

2. ადვოკატ ჟ. ლ.-ის ახსნა-განმარტების მიხედვით:

2.1 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სხდომაზე 2010 წლის 24 დეკემბერს გამოცხადდა ადვოკატი ჟ. ლ. და წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ 2002 წელს ნ. გ.-მ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე გ. მ.-ის, დარეჯან სტურუასა და ირაკლი მურვანიძის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეებს დაკისრებოდათ 2600 ა.შ.შ. დოლარი დაბრუნება. აღნიშნულ საქმეზე ნ. გ.-ის წარმომადგენელი იყო ჟ. ლ..

2.3 ადვოკატი ახსნა-განმარეტბაში აღნიშნავს, რომ 2008 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ნ. ნ.-მ ნ. გ.-ის მიმართ, რომელიც სასამართლომ ცნო არასათანადო მოსარჩელედ და საქმის განხილვა გაგრძელდა სათანადო მოსარჩელის თ. მ.-ის მონაწილეობით. ადვოკატი აღნიშნავს, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ქალაქ ბათუმში, ჯ.-ის ქუჩა № XX, ბინა №X-ზე რეგისტრირებული 56,74 კვ. მ. ფართის ბინასა და არარეგისტრირებული 102 კვ.მ. ფართზე თ. მ.-ის მიერ ჩატარებული რემონტის ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატი ჟ. ლ. ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ წარმომადგენლობას აღნიშნულ საქმეზე ახორციელებდა თვითონ.

2.4 ადვოკატი ჟ. ლ. აღნიშნავს, რომ მისი მონაწილეობა საქმეში მოპასუხე ნ. გ.-ის საწინააღმდეგოდ "არის სავსებით კანონიერი, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეები და დავის საგანი არის სხვადასხვა."

2.5 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად 2010 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა გ. მ.-მ ნ. გ.-ის მიმართ და მოითხოვა სააღსრულებო განკაურულების საფუძველზე ნ. გ.-ის საკუთრებაში გადასულ ბინაზე არარეგისტრირებული 102 კვ.მ. ფართის მიშენების ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ აღნიშნულ საქმეზე გ. მ.-ის წარმომადგენელი იყო ჟ. ლ..

2.6 ადვოკატი ჟ. ლ. მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში დავის საგანი და მოდავე მხარეები სხვადასხვაა, შესაბამისად ნ. გ.-ის საჩივარი არის უკანონო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.7 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 31 მაისის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ჟ. ლ. და ახსნა-განმარტება წარმოუდგინა კომისიას ნ. გ.-ის საჩივართან დაკავშირებით.

2.8 ჟ. ლ.-ის ახსნა-განმარტებით, საჩივარში მოხმობილი გარემოებები ეხება სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირს და მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ჟ. ლ.-ს კავშირი არ აქვს მოცემულ შემთხვევასთან. ადვოკატი განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით მას უფლება არ გააჩნია მისი კლიენტის წინააღმდეგ მიიღოს მონაწილეობა იმავე საქმეზე იმავე მხარეებს შორის.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეში არსებობს მტკიცებულება, რომ იგი იყო ნ. გ.-ის წარმომადგენელი ირაკლი მურვანიძის, გ. მ.-ისა და დარეჯან სტურუას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, როდესაც ადვოკატი შემდეგში წარმოადგენდა გ. მ.-ის ინტერესებს ნ. გ.-ის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ერთი და იგივე მხარეებს და ერთი და იგივე დავის საგანს.

2.10 ადვოკატმა აღნიშნა, რომ ინტერესთა კონფლიქტის საკითხი განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლომ, როდესაც ის გ. მ.-ის ინეტრესებს იცავდა ნ. გ.-ის წინააღმდეგ. სასამართლოში მხარემ დააყენა შუამდგომლობა ადვოკატის აცილების თაობაზე, იმ მიზნით რომ იგი ადრე იცავდა ნ. გ.-ის ინტერესებს. სასამართლომ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონით დადგენილი დებულებებით და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ერთი და იგივე მხარის მიმართ წარმოებულ იმავე საქმეს და შუამდგომლობა ამ საფუძვლით არ დააკმაყოფილა.

2.11 ადვოკატმა ჟ. ლ.-მ თ. მ.-ის სარჩელთან დაკავშირებით, ნ. გ.-ის წინააღმდეგ რემონტის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონდა. ნ. გ. საკასაციო საჩივარში უთითებდა ინტერესთა კონფლიქტზე, თუმცა საკასაციო სასამართლომ განიხილა ნ. გ.-ის საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2011 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს "ადვოკატთა შესახებ" კანონის მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მუხლების დარღვევას.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ჟ. ლ. იყო ჯერ ნ. გ.-ის წარმომადგენელი გ. მ.-ის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში, ამ შემთხვევაში დავის საგანი იყო სესხის ხელშეკრულება, შემდეგ ადვოკატი ჟ. ლ. გახდა თავისი ყოფილი კლიენტის – ნ. გ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის გ. მ.-ის წარმომადგენელი ნ. გ.-ის წინააღმდეგ (დავის საგანი – თანხის დაკისრება); შემდეგ – ჟ. ლ. წარმოადგენდა თ. მ.-ის ინტერესებს ნ. გ.-ის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში (დავის საგანი – თანხის ანაზღაურება).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ჟ. ლ. წარმოადგენდა ნ. გ.-ის ინტერესებს გ. მ.-ის, ირაკლი მურვანიძის და დარეჯან სტურუას წინააღმდეგ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება
2. 2005 წლის 27 მაისის განკარგულება უძრავი ქონების ნატურით გადაცემის თაობაზე
3. ნ. გ.-ის 2010 წლის 29 ნოემბრის საჩივარი
4. ადვოკატ ჟ. ლ.-ის 2010 წლის 24 დეკემბრის ახსნა-განმარტება(მეორე აბზაცი, პირველი პუნქტი)
5. ეთიკის კომისიის 2011 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი

4.1.2 ნ. გ.-ის სარჩელი _ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა და ნ. გ.-ს საკუთრებაში გადაეცა გ. მ.-ის საცხოვრებელი სახლი მდებარე, ქ. ბათუმში, ჯ.-ის ქ. # X, ბინა # X

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2005 წლის 27 მაისის აჭარის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელის განკარგულება, უძრავი ქონების ნატურით გადაცემის თაობაზე
2. 2007 წლის 29 იანვრის სააღსრულებო ფურცელი, საქმე # X/X

4.1.3 ადვოკატი ჟ. ლ. წარმოადგენდა გ. მ.-ის ინეტერესებს ნ. გ.-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ჯ.-ის ქ. # X, ბინა # X-ში, საცხოვრებელ ბინაში განხორციელებული მიშენების ხარჯების ანაზღაურება, სულ 10 000 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინება, საქმეზე # 2/ბ-X-X
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 2 მაისის განჩინება საქმეზე # ას-XX-X-X
3. ნ. გ.-ის 2010 წლის 29 ნოემბრის საჩივარი
4. ადვოკატ ჟ. ლ.-ის 2010 წლის 24 დეკემბრის ახსნა-განმარტება. (მესამე პუნქტი)

4.1.4 ადვოკატი ჟ. ლ. წარმოადგენდა თ. მ.-ის ინტერესებს ნ. გ.-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ჯ.-ის ქ. # X, ბინა # X-ში, საცხოვრებელ ბინაში განხორციელებული რემონტის ხარჯების ანაზღაურება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებას საქმეზე # X-X
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებას საქმეზე # 2/ბ-X
3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის სააღსრულებო ფურცელს საქმეზე #2-X/X
4. ადვოკატ ჟ. ლ.-ის 2010 წლის 24 დეკემბრის ახსნა-განმარტება. (მეორე პუნქტი)

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიერ დარღვეულ იქნა შემდეგი მუხლი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.“

6.2 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკენელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციის შედეგად ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას.

6.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული კონკრეტული საქმის წარმოებაში, შემდგომი წარმომადგენლობა სხვა კლიენტისა, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებით, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ჟ. ლ. თავდაპირველად წარმოადენდა ნ. გ.-ის ადვოკატს, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის

დაკისრების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ადვოკატის ჩართულობა კლიენტის საქმის წარმოებაში ასევე გამოიხატებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებით, კერძოდ ნ. გ.-ს ნატურით გადაეცა გ. მ.-ის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ბათუმში, ჯ.-ის ქ. # X, ბინა # X-ში. ნ. გ.-სთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ ჟ. ლ. გახლდათ თ. მ.-ის ადვოკატი, ყოფილი კლიენტის _ ნ. გ.-ის წინააღმდეგ, ქ. ბათუმში, ჯ.-ის ქ. # X, ბინა # X-ში, ჩატარებული რემონტის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე წარმოებულ დავაში.

6.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისათვის _ ნ. გ.-ისათვის, არახელსაყრელ პოზიციას. ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ კლიენტსა და ამჟამად არსებულ კლიენტს შორის. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ჟ. ლ. თ. მ.-ის წარმომადგენლობას ახორციელებდა არსებითად და სამართლებრივად დაკავშრებულ დავაში ნ. გ.-ის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატმა თავდაპირველად სამართლერბივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა განახორციელა ნ. გ.-ის მიმართ რის შედეგადაც ნ. გ.-ს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, ხოლო შემდეგში კი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, იმავე ბინის თაობაზე, რემონტის თანხების ანაზღაურებაზე წარმოადგენდა თ. მ.-ის ინტერესებს ნ. გ.-ის წინააღმდეგ.

6.5 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

6.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდგომ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის მიმართ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება.

6.7 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ უნდა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი ყოფილი და ამჟამად არსებულ კლიენტის ინტერესებს შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა განახორციელა. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება დაკავშრებულია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს, ამასთან ადვოკატმა უნდა აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა.

6.8 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთვევაში ადვოკატ ჟ. ლ.-ს ერთის მხრივ გააჩნდა ვალდებულება არ გაემჟღავნებინა ყოფილი კლიენტის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და მეორე მხრივ არსებული კლიენტის _ თ. მ.-ის მიმართ გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება მისი ინტერესების დასაცავად.

6.9 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

6.10 ეთიკის კომისიამ საქმე # 015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ „ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა უნდა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი.“

6.11 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ჟ. ლ. თავდაპირველად წარმოადგენდა ნ. გ.-ის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო მისი პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. შემდეგში, ადვოკატი წარმოადგენდა თ. მ.-ს, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში, რომელიც შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებული იყო. განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ დააყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

6.12 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გ. მ.-ის ინტერესების დაცვისას ნ. გ.-ის წინააღმდეგ ადვოკატი ჟ. ლ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს. თუმცა, საქმეში არსებული მასალის _ 2010 წლის 11 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმის _ საოქმო განჩინების თანახმად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. შესაბამისად, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დამატებით იმსჯელოს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მით უფრო, რომ იგი მეორე მხარეს არ გაუსაჩივრებია და კანონიერ ძალაში არის შესული.

6.13 შესაბამისად, ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ ადვოკატ ჟ. ლ.-ის მიერ ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევას თ. მ.-ის წარმომადგენლობისას ყოფილი კლიენტის ნ. გ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-8 მუხლის მეორე პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ჟ. ლ.-ს, /სიითი # №/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. ადვოკატ ჟ. ლ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაეწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე – კახაბერ წერეთელი

წევრი – დავით კაკაბაძე

წევრი – ზურაბ ძლიერიშვილი